ხელშეკრულება # 50
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ქარელი

10...აპრილი2014 წელი

ერთის მხრივ ქარელის მუნიციპალიტეტი (შემდგომში–შემსყიდველი), წარმოდგენილი საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ პაატა ღვინიაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. ,,თვითმმართველობის მაცნე'' (443567828) (შემდგომში _ მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ, რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე: (CPV22400000;)

1. ხელშეკრულების საგანი

ქარელის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით შესასყიდია: ,, თვითმართველობის მაცნე''- სთან მიმდინარე და განხორციელებული პროექტების საინფორმაციო სარეკლამო მომსახურება.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1.მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2015 წლის 1 თებერვლის ჩათვლით .

4.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნული ვალუტით (ლარებში).

6.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების მეშვეობით.

6.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 4.2. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებილი პირობების შესაბამისად; უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

12.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას დამკვეთის მხრიდან განახორციელებს ქარელის მუნიციპალიტეტის *ადმინისტრაციული სამსახურის სპეციალისტი ეკა ბერუაშვილი.*

12.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილ ნებისმიერ ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

12.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებულო ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. სხვა პირობები

13.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი პირი რჩება დამკვეთთან ხოლო ერთი პირი მიმწოდებელთან. თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ქარელის მუნიციპალიტეტი	შ.პ.ს „თვითმმართველობის მაცნე"
მისამართი: ქ.ქარელი, ნინოშვილის ქ#3	მისამართი: ქ. თბილისი მარჯანიშვილის#31
ს.ს „ლიბერთი ბანკი" ქარელის ფილ.	ბანკი;სს „ საქართველოს ბანკი"
კოდი: LBRTGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა **GE23LB0120117542234000**	ანგ# **GE35BG0000000783135500**
ს/კოდი: 240893002	ს/კოდი: 443567828
ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს	ტ: 591 41 26 72
თავმჯდომარე : პაატა ღვინიაშვილი	დირექტორი: ნინო კალანდაძე